

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპ ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მსს ფასს

შინაარსი	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1 ზოგადი ინფორმაცია	
2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	
3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები	
4 ფულადი სახრები	
5 სავაჭრო მოთხოვნები	
6 მარაგები	
7 ძირითადი საშუალებები	
8 საინვესტიციო ქონება	
9 გაცემული სესხები	
10 ფინანსური იჯარა (ლიზინგი)	
11 სესხები	
12 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	
13 შემდგომი მოვლენები	

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი სახრები	4	5, 589	12,261
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,385,976	144,373
გადახდილი ავანსები		186,422	38,200
მარაგები	6	44,939	5,984
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,622,926	200,818
ძირითადი საშუალებები	7	883,256	532,151
საინვესტიციო ქონება	8	185,000	-
არამატერიალური აქტივები		367	432
გაცემული სესხები	9	354,851	244,451
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,423,474	777,034
სულ აქტივები		3,046,400	977,852
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10	329,105	178,301
სავაჭრო ვალდებულებები		299,171	164,954
ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე		15,782	27,412
გადასახდელი გადასახადები		67,159	22,245
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		95,232	77,966
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		806,449	470,878
გრძელვადიანი სესხები	11	347,643	341,305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		347,643	341,305
საწესდებო კაპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება		1,892,308	165,669
სულ კაპიტალი		1,892,308	165,669
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,046,400	977,852

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 19 თებერვალს:

დირექტორი: ნიკოლოზ ჩაჩხიანი



გარიგების პარტნიორი
გიორგი მესხია

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპ

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2018 წელი

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

2018 წელი

შენიშვნა

შემოსავლები	
შემოსავალი მომსახურებიდან	4,335,242
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	9,420
სხვა შემოსავალი	4,163
საპროცენტო შემოსავალი	35,023
სულ შემოსავალი	4,383,847
ხარჯები	
პერსონალის ხარჯები	(503,825)
ოფისის იჯარა	(16,525)
სხვა ხარჯები	(2,087,398)
საოპერაციო ხარჯები ცვეთისა და პროცენტის გარდა	(2,607,748)
მოგება პროცენტამდე, გადასახადებამდე და ცვეთამდე (EBITDA)	1,776,099
ცვეთა და ამორტიზაცია	(57,157)
მოგება პროცენტამდე და გადასახადებამდე (EBIT)	1,718,942
საპროცენტო ხარჯები	(60,160)
საკუროს სხვაობები	(4,713)
სულ ფინანსური ხარჯები	(64,873)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	727,757
მოგება მოგების გადასახადამდე	1,726,639
მოგების გადასახადი	-
წმინდა მოგება	1,726,639
დაგროვილი მოგება / (ზარალი) წლის დასაწყისში	165,669
დივიდენდები	-
დაგროვილი მოგება წლის ბოლოს	1,892,308

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 19 თებერვალს:

დირექტორი: ნიკოლოზ ჩაჩხიანი



გარიგების პარტნიორი
გიორგი მესხია

გვერდი 3

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2018 წელი

	შენიშვნა	2018 წელი
საოპერაციო ფულადი ნაკადები		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		3,612,803
გადახდილი პერსონალის ხარჯები		(403,060)
გადახდილი გადასახადები		(252,516)
სხვა გადახდები		(2,511,875)
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები		445,352
საინვესტიციო ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი თანხები		(199,869)
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები		(199,869)
საფინანსო ფულადი ნაკადები		
ბანსკი სესხის დაფარვა		(75,622)
პროცენტის დაფარვა		(34,303)
ბანკისგან მიღებული სესხები (ოვერდრაფტი)		95,232
გაცემული სესხები		(110,400)
გადახდილი სალიზინგო სახდელები		(128,155)
წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადები		(253,248)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (კლება)		(7,765)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი		12,261
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად ნაშთებზე		1,093
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი		5,589

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მსს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპი-ი არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2015 წელს. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 405119740. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სატვირთო საგზაო ტრანსპორტით მომსახურება, ტვირთების გადატანა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საერთაშორისო გადაზიდვები. კომპანია ასევე იჯარით გასცემს სხვადასხვა სახის სპეცტექნიკას.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 20-ს .

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

პარტნიორი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
	%	%
01031004836, ნიკოლოზ ჩაჩხიანი	67,00	67,00
01007008966, ბესიკ გოგია	33,00	33,00
სულ	100.00	100.00

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს შესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი მონაცემები წარდგენილია მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის უწყისში, ხოლო ყველა სხვა ინფორმაცია წარდგენილია მხოლოდ ერთი პერიოდისათვის, რაც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

2.2 ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება სატვირთო საგზაო ტრანსპორტით გადაზიდვების მომსახურებიდან, ასევე იჯარით გაცემული სპეცტექნიკის მომსახურებიდან.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. "პროცენტული შესრულების მეთოდით"). ხელშეკრულების შესრულების სტადია განისაზღვრება სამუშაოების დასრულების პროპორციულობის მეთოდით.

როდესაც მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, კომპანია ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში, თუკი ასეთი არის.

2.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი დაითვლება მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85. საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

კომპიუტერული ტექნიკა
ავეჯი და ოფისის კეთილმოწყობა
ავტომობილები
სპეც. ტექნიკა

5 წელი
5-7 წელი
10 წელი
5-9 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვები ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით და ერიცხება 15% იანი ამორტიზაცია, რადგან აქტივის სასარგებლო მომსახურება ვადა განუსაზღვრელია.

2.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

კომპანია არ ახდენს მარაგების გაუფასურების ანალიზს, რადგან საქმიანობის სფეროდან და შინაარსიდან გამომდინარე არც რაიმე მარაგის რეალიზებას ახდენს. მარაგები წარმოდგენილია ძირითადად ავტო-მანქანების საექსპლუატაციო ნაწილებითა და საწვავით. თუკი, რომელიმე მოამზად პერიოდში მარაგები არსებითი თანხით იქნება წარმოდგენილი, კომპანია მოახდენს მათი გაუფასურების ანალიზს მსს ფას-ის შესაბამისი განყოფილების მოთხოვნების მიხედვით.

2.8 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

კომპანია ფლობს ფინანსური იჯარით მიღებულ აქტივებს, შესაბამისად აღნიშნული აქტივების მიღების მომენტში კომპანიამ განახორციელა საიჯარო გადასახადების მიმდინარე პერიოდის ღირებულებით დადისკონტირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიას აღნიშნულ პერიოდში გააჩნია საბანკო სესხი, შესაბამისად დისკონტირების განაკვეთად აღებულია საბანკო პროცენტი.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.9 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება ძირითადად ავტო-მანქანების საექსპლუატაციო ნაწილებითა და საწვავით, რომელთა აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

2.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11 გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12 ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.14 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომლების მომსახურებას გასწევს.

კომპანიას არ აქვს რაიმე გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავებულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდებს.

3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საექვო ვალების რეზერვის შეფასება

საექვო ვალების რეზერვის შეფასება ხორციელდება თითოეული კლიენტის მიხედვით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაც მენეჯმენტს გააჩნია ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კომპანიის მენეჯმენტი და ხელმძღვანელი რეგულარულად ახორციელებს მოთხოვნების ხანდაზმულობის და თითოეული კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. კომპანიის რეზერვები სამართლიანად ასახავს მოთხოვნების შესაძლო გაუფასურებას, თუმცა რეალური შედეგები მომავალში შესაძლოა განსხვავებული იყოს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

შემოსავლების აღიარება

როგორც სააღრიცხვო პოლიტიკაშია აღწერილი კომპანია მსს ფასს-ის შესაბამისად ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულებისა და შესრულების სტადიის მიხედვით.

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპ

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მსს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ფულადი სახრები

31 დეკემბერი
2018

შენიშვნა

ლარები სალაროში	1,940
ლარები საბანკო ანგარიშებზე	2,114
დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1,535
ევრო საბანკო ანგარიშებზე	-
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-

ფული და ფულის ექვივალენტები სულ	5,589
---------------------------------	-------

5 სავაჭრო მოთხოვნები

31 დეკემბერი
2018

შენიშვნა

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	1,385,976
----------------------------	-----------

წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,385,976
---------------------------	-----------

6 მარაგები

31 დეკემბერი
2018

შენიშვნა

მთლიანი მარაგები	44,939
------------------	--------

სულ მარაგები	44,939
--------------	--------

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება ძირითადად ავტო-მანქანების
საექსპლუატაციო ნაწილებითა და საწვავით

7 ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავიჯი და ოფისის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სპეც ტექნიკა	სულ
თვითღირებულება					
31 დეკემბერი 2017	11,555	4,129	551,169	1,979	568,832
შემენები	8,142	-	242,783	157,273	408,198
გაციდვა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	19,696	4,129	793,951	159,252	977,028
აკუმულირებული ცვეთა					
31 დეკემბერი 2017	(2,182)	(436)	(33,813)	(249)	(36,680)
პერიოდის ხარჯი	(2,388)	(460)	(48,295)	(5,950)	(57,093)
ელიმინაცია გასავალზე	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(4,570)	(896)	(82,107)	(6199)	(93,772)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2017	9,373	3,693	517,356	1,730	532,151
31 დეკემბერი 2018	15,126	3,233	711,844	153,053	883,256

8 საინვესტიციო ქონება

31 დეკემბერი
2018 წელი
185,000

კომპანიამ შეიძინა იჯარის გაცემის მიზნით საცხოვრებელი კონტეინერები 185,000 ლარის ღირებულებით, რომელიც ასახულია საინვესტიციო ქონებად. მსს-ფას სტანდარტების შესაბამისად საინვესტიციო ქონება აღიარებულ უნდა იქნეს რეალური ღირებულებით თუ არ მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს.

წლის ბოლოს საინვესტიციო ქონება ვფიქრობთ ასახულია რეალური ღირებულებით, ვინაიდან აღნიშნულის შემენა განხორციელდა 2018 წლის დეკემბრის თვეში და შესაბამისად უმოკლეს დროში ვერ შიცვლებოდა მისი ანაზღაურებადი ღირებულება.

9 გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხები ლარში	354,851	244,451
სულ სესხები	354,851	244,451

კომპანიას გაცემული აქვს იურიდიულ პირებზე გრძელვადიანი სესხი 11,50% ში და 12 % ში. მისაღები პროცენტების ჯამი შეადგენს 60,304 ლარს.

10 ფინანსური იჯარა

31
დეკემბერი
2018

31 დეკემბერი
2017

ფინანსური იჯარით შეძენილი ძირითადი საშუალებები	328,105	178,301
სულ სესხები	328,105	178,301

კომპანიას ფინანსური იჯარით შეძენილი აქვს ავტო-მანქანები. შესაბამისად აღნიშნული აქტივების მიღების მომენტში კომპანიამ განახორციელა საიჯარო გადასახადების მიმდინარე პერიოდის ღირებულებით დადისკონტირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

11 სესხები

31
დეკემბერი
2018

31 დეკემბერი
2017

ლარში დენომინირებული სესხი ბანკისგან	106,316	134,125
დოლარში დენომინირებული სესხი ბანკისგან	241,327	285,146
ოვერდრაფტი	95,232	-
სულ სესხები	236,951	237,536

12 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მფლობელები და მენეჯმენტი.

წლის განმავლობაში მმართველი გუნდისთვის გადახდილმა ანაზღაურებამ შეადგინა 250,468 ლარი.

წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის გადახდა არ მომხდარა და არც რაიმე საქონლის თუ მომსახურების შეძენა ან მათზე რეალიზაცია არ მომხდარა.

13 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს რაც დამატებით შესწორებებს ან ინფორმაციის გახსნას მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ნიუ ლოგისტიკ გრუპ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი სახრები	4	5,589	12,261
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,385,976	144,373
გადახდილი ავანსები		186,422	38,200
მარაგები	6	44,939	5,984
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,622,926	200,818
ძირითადი საშუალებები	7	883,256	532,151
საინვესტიციო ქონება	8	185,000	-
არმატერიული აქტივები		367	432
გაცემული სესხები	9	354,851	244,451
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,423,474	777,034
სულ აქტივები		3,046,400	977,852
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10	329,105	178,301
სავაჭრო ვალდებულებები		299,171	164,954
ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე		15,782	27,412
გადასახდელი გადასახადები		67,159	22,245
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		95,232	77,966
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		806,449	470,878
გრძელვადიანი სესხები	11	347,643	341,305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		347,643	341,305
საწესდებო კაპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება		1,892,308	165,669
სულ კაპიტალი		1,892,308	165,669
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,046,400	977,852

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 19 თებერვალს:

დირექტორი: ნიკოლოზ ჩაჩხიანი

გარიგების პარტნიორი
გიორგი მესხია